დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

წევრები:

ელიზბარ ბარბაქაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გავაშელი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნადია დაბრუნდაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226563368

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა N1. სოფელი პატარა ლილო, თამარ მეფის ქუჩა 12
საფოსტო ინდექსი	0163
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi215@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322-2-73 -85-51.

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის MES 5 25 0000492981 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო

	დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2025 წლის 03-04 ივნისი**

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა N1. საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი პატარა ლილო, თამარ მეფის ქუჩა 12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის მეურნეობის

				დასახლება, რუსთაველის ქუჩა N1. საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, სოფელი პატარა ლილო, თამარ მეფის ქუჩა 12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის მეურნეობის დასახლება, რუსთაველის ქუჩა N1.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 03 და 04 ივნისს სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. საგნობრივი ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების მიერ მოწოდებულ იქნა ავტორიზაციის ვიზიტის განხორციელებამდე. ექსპერტთა ჯგუფმა ერთობლივად შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა მოიცავდა მკაფიო და სრულყოფილ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ და თანდართული დოკუმეტაციის სახით წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

ვიზიტის პირველ დღეს ჩატარდა ინფრასტრუქტურის/სკოლის ორივე შენობის ვიზუალური დათვალიერება. დისტანციურ ფორმატში წარიმართა საგნობრივი ექსპერტების გასაუბრება კათედრის წევრებთან/საგნის მასწავლებლებთან.

ზოგადი განათლების ხარისხის უზურუნველყოფის ექსპერტებმა წარმართეს გასაუბრებები სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, სპეციალურ მასწავლებლებთან, ფსიქოლოგთან, საქმისმწარმოებლთან, სამუშაო ჯგუფის წევრებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასაქმებულთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები და დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

ვიზიტის მეორე დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამოვლენილი მიგნებები დაწესებულების დირექციასთან და კათედრის თავმჯდომარეებთან გამართულ შეხვედრაზე შეაჯამა. საგნობრივმა ექსპერტებმა დისტანციურ ფორმატში მიაწოდეს უკუკავშირი დაწესებულების წარმომადგენლებს.

სკოლამ უზურნველყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი სამუშაო გარემო.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	• *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში 2026 წლის 26 ივნისამდე.*
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	• *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და ექთნის დასაქმება სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში 2026 წლის 26 ივნისამდე.*
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	• *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის რეაბილიტაცია (მცირე ფართობის გამო) 2026 წლის 26 ივნისამდე.* • *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემო/მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირისათვის წვდომა 2026 წლის 09 ივლისამდე.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N 2.2.2.3.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში, უზურუნველყოს ლაბორატორიის აღჭურვილობის განახლება, სადემოსტაციო ცეცხლგამძლე მაგიდის განთავსება და გამწოვი კარადის მონტაჟი, ხოლო სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის 26 ივნისამდე.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	• *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში, უზურუნველყოს ლაბორატორიის აღჭურვილობის განახლება, სადემოსტაციო ცეცხლგამძლე მაგიდის განთავსება და გამწოვი კარადის მონტაჟი, ხოლო სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის 26 ივნისამდე.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	*სასურველია, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*

	*ზოგადი განათლების **დაწყებითი** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	
ინდიკატორი 2.1.2.2.	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში თითოეული თემატური ერთეულის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნეს გრძელვადიანი შედეგები, რაც პროექტული ტიპის დავალებების განხორციელებით მიიღწევა.
ინდიკატორი 2.1.2.5	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ეფუძნებოდეს კურიკულუმში განსაზღვრულ ძირითად ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**	სასურველია, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის დროს მოხდეს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირება. კრიტერიუმების შემუშავების დროს ხაზი გაესვას შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი 2.1.2.5.	**კომპიუტერული ტექნოლოგიები**	მასწავლებლებს მიეცათ რჩევა შექმნან და გამოიყენონ კურიკულუმით განსაზღვრულ ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი 2.2.2.1	**მათემატიკა**	მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩო რომ უფრო მრავალფეროვანი იყოს, სასურველია დაემატოს კომპლექსური ტიპის ან შემოქმედებითი ტიპის დავალება, მიეთითოს მეტი რესურსი.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების **საბაზო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.2.2.	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში თითოეული თემატური ერთეულის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნეს გრძელვადიანი შედეგები, რაც პროექტული ტიპის დავალებების განხორციელებით მიიღწევა.
ინდიკატორი 2.1.2.5	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ეფუძნებოდეს კურიკულუმში განსაზღვრულ ძირითად ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**	სასურველია, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის დროს მოხდეს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირება. კრიტერიუმების შემუშავების დროს ხაზი გაესვას შეფასების რუბრიკებს.
ინდიკატორი 2.1.1.2.	**სახელმწიფო ენა** (საბაზო საფეხური)	მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში რამდენიმე თემასთან გამორჩენილი სამიზნე ცნებები სრულად იქნას შევსებული. ასევე, მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩასმული კომპლექსური დავალება და საკითხი ჩასწორდეს შესაბამისობის კუთხით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *ზოგადი განათლების **საშუალო** საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.2.2.	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ, მეორე და მესამე უცხოურ ენებში თითოეული თემატური ერთეულის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნეს გრძელვადიანი შედეგები, რაც პროექტული ტიპის დავალებების განხორციელებით მიიღწევა.
ინდიკატორი 2.1.2.5	**უცხოური ენები**	სასურველია, პირველ და მეორე უცხოურ ენებში მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ეფუძნებოდეს კურიკულუმში განსაზღვრულ ძირითად ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებს.
ინდიკატორი 2.1.2.5	**საზოგადოებრივი მეცნიერებები**	სასურველია, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის დროს მოხდეს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირება. კრიტერიუმების შემუშავების დროს ხაზი გაესვას შეფასების რუბრიკებს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2025 წლის 04 ივლისს შემოსული სსიპ - ქალაქ თბილისის No215 საჯარო სკოლის კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის No820137 და No823355), რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიციის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმისა და 11 დანართით დასტურდება, რომ დაწესებულების მიერ უკვე განხორციელდა აქტივობები დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი არ არის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/აქტივობები, ვადები და სხვა ინფორმაცია, თუმცა არგუმენტირებული პოზიციაში აღწერილი და დანართებით დადასტურებული იყო განხორციელებული აქტივობები. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შესაბამისობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია ერთი წლის ვადით;

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში დანართად წარმოდგენილია მხოლოდ (ნ.გ., გ.თ., მ.პ., და ზ.შ.) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“ ცნობები. არ არის წარმოდგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.“
- არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზთან („ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1-ში მდებარე სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო ეტლით მოსარგებლე პირისათვის სველი წერტილი რეალურად არ არის ხელმისაწვდომი; აგრეთვე, შეუძლებელია შენობის მეორე სართულზე ასვლა, რადგან სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.“) დაწესებულებამ წარმოადგინა პოზიცია: *„სკოლის ერთი კორპუსი, მდებარე (სოფელ პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა №12) სრულად არის ადაპტირებული და სკოლას ადაპტირებული გარემოს საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუძლია, შესთავაზოს შესაბამისი კორპუსი. რაც შეეხება ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1 -ში მდებარე სკოლის შენობას, აქვს შესასვლელში პანდუსი. ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო ინფორმირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ინფორმაციით დაიგეგმება შენობის რეაბილიტაცია და აღნიშნული პრობლემა გამოსწორდება.*

ვადასტურებთ, რომ სართულებზე ასასვლელ კიბეებს არა აქვს პანდუსი. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს არც ერთი შშმ პირი. იმისთვის, რომ მომავალში არც ერთ მოსწავლეს არ გაუჭირდეს მე-2 სართულზე განთავსებული ლაბორატორიებით სარგებლობა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მეორე სართულიდან ჩამოვიტანეთ პირველ სართულზე, სადაც ნებისმიერი შშმ პირი შეძლებს კომფორთულად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. რაც შეეხება კომპიუტერული ლაბორატორიას, სკოლა აღჭურვილია ლეპტოპებით. მთელი სასწავლო კორპუსი მხარდაჭერილია ინტერნეტით, შესაბამისად, ნებისმიერ კლასში შესაძლებელია ჩატარდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილი.“

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია ადაპტირებული სველი წერტილის რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით. (შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულია, რომ „ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო ინფორმირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ინფორმაციით დაიგეგმება შენობის რეაბილიტაცია და აღნიშნული პრობლემა გამოსწორდება.“).

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია კიბის უჯრედების ადაპტირების საჭიროების არარსებობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწავლის ინკლუზიური გარემო შექმნილი უნდა იყოს სკოლის შენობაში ყველა სივრცეში და არა მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიაზე. ამასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის განთავსება შენობის პირველ სართულზე, მეორე სართულის ნაცვლად, ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას, რადგან ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე სართულზე.

ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნა საბოლოო სახით ცენტრში წარადგინა 2025 წლის 08 ივლისს.

2025 წლის 01 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წერილი (MES 9 25 0000939754), რომლითაც ეცნობა, რომ *„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 24 ივლისს შემოვიდა სსიპ - ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლის (შემდგომში - დაწესებულება) კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №910792), რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნაში მოყვანილ ფაქტობრივ*

გარემოებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ კორესპონდენციაში დაწესებულება განმარტავს, რომ განიხილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა, ეთანხმება მასში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და ექსპერტთა შეფასებას. მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლა აცნობიერებს ხარვეზად იდენტიფიცირებული საკითხების მნიშვნელობას და ცენტრს მომართავს თხოვნით, გათვალისწინებული იქნას სკოლის მიერ ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსია, რათა საფრთხე არ შეექმნას სკოლის საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.“

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თანდართულ წერილსა და დოკუმენტაციას და მოამზადა კორექტირებული დასკვნა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსიისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ

- სკოლამ აღმოფხვრა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი. წარმოადგენილია დასაქმებულთა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.“ შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორის შეფასება: ინდიკატორი N3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.
- სკოლა დაეთანხმა დასკვნაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას „ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში არ არის შექმნილი სწავლის ინკლუზიური გარემო - კერძოდ, შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე პირის მეორე სართულზე გადაადგილება“. წარმოადგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა. გეგმით განისაზღვრულია აქტივობა: „შენობის მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირისათვის წვდომის უზრუნველყოფა“, დასრულების თარიღი - 2026 წლის 09 ივლისი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემო/მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირისათვის წვდომა 2026 წლის 09 ივლისამდე. შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორის შეფასება: ინდიკატორი N3.5.1.4 მეტწილად შესაბამისია.

- სკოლამ შეასრულა დასკვნაში გაცემული რეკომენდაცია „უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება 2025 წლის 26 აგვისტომდე“. წარმოდგენილია 2025 წლის 09 ივლისის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია მასზედ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. შესაბამისად ინდიკატორი N3.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

სკოლამ წარმოადგინა ერთი პირის საშუალო პროფესიული განათლების სრული კურსის გავლის დამადასტურებელი დიპლომი პროფესიაში „მედდის საქმე“, სერტიფიკატი და პირადობის მოწმობა; ექსპერტთა მიერ Teachersjobs.ge შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ორი ვაკანსია ექიმისა და ექთნის შტატებზე. თუმცა სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი კონკურისის ამსახველი მასალები და შერჩეულ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. შესაბამისად, დასკვნაში გაცემული რეკომენდაცია ექთნის დასაქმების შესახებ უცვლელია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N 215 საჯარო სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს ტოლერანტი, დემოკრატი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც დაიცავს ქვეყნის ინტერესებს; სკოლა მიისწრაფვის (ხედვაა) თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ციფრული რესურსების ინტეგრირებების, ინოვაციური და ინტერაქტიული გარემოს შექმნისაკენ სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარების ხელშესაწყობად. სკოლის მიზანია უზრუნველყოს ტოლერანტი და დემოკრატიული გარემო, რომელშიც მოსწავლეები იძენენ 21-ე საუკუნის უნარებს და ემზადებიან წარმატებული სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები წარმოაჩენს სკოლის როლს თემში. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებასა და პიროვნულ განვითარებაზე. სკოლის პრიორიტეტია მოსწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური განვითარება, რაც მისიაშია ასახული. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. განხილულია მშობელთა კრებებზე, კათედრების სხდომებზე და მოსწავლეებთან. მიღებულია უკუკავშირი, რომელიც გათვალისწინებული იყო საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებისას. სამუშაო ჯგუფთან გასაუბრების დროს წარმოჩენილ იქნა ჯგუფის წევრების ჩართულობა ამ პროცესში. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასწავლო წლის დაწყებისთანავე დამრიგებელმა საკლასო კრებებზე გააცნეს და გაუზიარეს მშობლებს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ამასთან სკოლის ყველა სტრუქტურულ რგოლს მიეწოდა ინფორმაცია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებების შესახებ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილას, აგრეთვე, განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლის სახელწოდება მინიჭებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- [სკოლის ვებ გვერდი]

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც ხდება სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავება, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი განხორციელდა დაინტერესებულ მხარეთა თანხმობით და თანამშრომლობით. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წელი) დამტკიცებულია 2023 წელს სამეურვეო საბჭოს მიერ და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინარული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში აღწერილია ამოცანები, რომლის მიზანია მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემო, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული საქმიანობის განვითარება. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, გაწერილია სასწავლო რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, 12/09/2024;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1 სტრატეგიული განვითარების გეგმისა (2023-2030) და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ, 06/09/2024;
- ერთწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, 07/02/2025;
- კითხვარები მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისათვის, მშობლებისათვის.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით შვიდწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში განხორციელდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს.

მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს და ამის საფუძველზე დირექტორს წარუდგენენ ინიცირებულ წერილს სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დაგეგმილი საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. 2025 წლის 07 თებერვალს სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც, სასწავლო წლის ბოლოს, განახორციელებს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებს დირექტორი აცნობს მშობლებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2023 -2030 წლებს. ამ პერიოდში შედეგების გაანალიზების და კვლევების შედეგად მოხდება სკოლის შემდგომი განვითარების დაგეგმვა. გეგმაში შესაძლებელია ცვლილებები, ხოლო ერთწლიანის გაანალიზება ხდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

როგორც აღინიშნა, სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2023-2030 წლიან პერიოდს და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი განხორციელება. შედეგების გაანალიზება მოხდება დამტკიცებიდან მესამე წელს, ხოლო ერთწლიანის კი ხდება სასწავლო წლის ბოლოს, მის საფუძველზე დაიგეგმება ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგია, 12/09/2024;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, 2023-2030;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, 2024-2025;
- ბრძანება ჯგუფის შექმნის შესახებ 07/02/2025;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ.

სკოლაში საშტატო განრიგით დასაქმებული და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ფუნქციებს განსაზღვრავს დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „თანამდებობრივი ინსტრუქციები“. დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები. ფუნქციები ასახულია დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დასაქმებულ პირთა ფუნქციების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა / ორგანოგრამა;
- ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ, 27/02/2025;
- საშტატო განრიგი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობებით: დოკუმენტებში - სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის წესი აღწერილია პერსონალის მართვის პროცესები. პერსონალის მართვის მექანიზმები ასახულიაა სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს საკუთარი ხელმოწერით <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშვებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებას. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის საჭიროებებს და მოიცავს

როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ ზომებს. საჭიროების შემთხვევაში დროულად ხდება მასწავლებლის ჩანაცვლება, რათა სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

პერსონალის შერჩევის პოლიტიკა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზურუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრის მოზიდვასა და დასაქმებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად სკოლას გაწერილი აქვს მასწავლებლის შერჩევის პროცედურები/ეტაპები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიქტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით წარმართვას.

სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში, არსებული ვაკანტური პოზიცია პირველ ეტაპზე შეირჩევა შიდა კონკურსის საფუძველზე, ხოლო შიდა კონკურსის ვაკანტური პოზიციის ვერ შევსების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია გამოაცხადოს ღია კონკურსი. ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teacherjobs.ge. დასაქმების ვებგვერდზე. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მტკიცდება კონკურსის დებულება, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების და შეფასების კრიტერიუმების გაწერა. შემოსული საბუთების გადარჩევის შემდეგ, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის შერჩევა ხდება გასაუბრების საფუძველზე. ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე ფორმდება შესაბამის ოქმი. დასაქმებულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება სტატუსის მიხედვით.

პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები: ,,ზოგადი განათლების“ კანონით განსაზღვრული „ნასამართლეობის“, ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. ვიზიტის პერიოდში ოთხი თანამშრომლის (ნ.გ., გ.თ., მ.პ., და ზ.შ.) პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები. <u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ოთხივე თანამშრომელმა (ნ.გ., გ.თ., მ.პ., და ზ.შ.) უკვე წარმოადგინა სკოლაში ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.“ თუმცა დანართად წარმოდგენილია მხოლოდ ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის

ჩადენისთვის ნასამართლეობის“ ცნობები და არ არის წარმოდგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.“ აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება არ იცვლება - ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულების მიერ 2025 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსიის შესწავლით დასტურდება, რომ აღმოფხვრილია დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი და წარმოადგინა დასაქმებულთა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები.“ შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორის შეფასება: ინდიკატორი N3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 65 პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ადმინისტრატორი (პატარა ლილოს კორპუსში), საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 3 დარაჯი, 4 დამლაგებელი, ექიმი (ძირითად კორპუსში), ფსიქოლოგი, 2 ცეცხლფარეში, სსსმ პირის ასისტენტი და 49 მასწავლებელი; მათგან 7 წამყვანი მასწავლებელი, 1 მაძიებელი მასწავლებელი და 2 მოწვეული მასწავლებელია. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას.

პერსონალის კვალიფიკაცია (გარდა ექიმისა) შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება პერსონალის პირად საქმეებით; წარმოდგენილი დოკუმენტებია: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, CV, ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ, ფოტოსურათი, სერთიფიკატები, კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები.

რაც შეეხება ექიმს, ვიზიტის პერიოდში, სკოლას ჰყავდა 1 ექიმი. **ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.** კერძოდ, ექიმის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება, რომ ექიმი ფლობს უმაღლესი განათლებას სპეციალობით ზოგადი პროფილის პედიატრი, თუმცა მას არ აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი. ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია, ექიმს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და გამოცხადდა კონკურსი ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად. წარმოდგენილია შეთანხმება (N5-07, 01.07.2025) ექიმთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტაზე და შესაბამის ვებ გვერდზე განთავსებული ვაკანსიის ამსახველი სურათი. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში 2026 წლის 26 ივნისამდე.*** **<u>ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.</u>**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სასწავლო პროგრამების შემუშავება მიმდინარეობს საგნობრივი კათედრების წევრთა ჩართულობით/თანამშრომლობით. ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, შეირჩა ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები და დავალებები. პედაგოგები მონაწილეობენ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში, სხვადასხვა საკითხის განხილვა-დაგეგმვაში (პრეზენტაციები, პროექტები, სხვადასხვა სახის კვირეული, სოციალური პროექტები).

სამეურვეო საბჭო ფუნქციონირებს და ჩართულია მიკუთვნებულ საკითხებზე მუშაობის პროცესში. ყოველწლიურად დირექტორის სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტით იქმნება ინვენტარიზაციის კომისია სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან. შექმნილია მშობელთა კომიტეტი, რომლის მუშაობა ეფუძნება მშობელთა კომიტეტის დებულებას. დირექტორს წარუდგენს წლიურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოსა და მშობელთა კომიტეტს შესრულებული სამუშაოების შესახებ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მე-11 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. წახალისება გამოიყენება პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის

დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა კალენდარულ წელიწადში ორჯერ გაიცეს სადღესასწაულო პრემია. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება თანამშრომელთა შერჩევის წესის დამტიცების შესახებ, 21/03/2025;
- ადამიანური რესურსების მართვის წესი;
- შინაგანაწესი, 10/09/2024 სამეურვეო საბჭოს N2 სხდომის ოქმით;
- მშობელთა კომიტეტის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი აღწერს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ანალიზის საფუძველზე: რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს და რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას; შესაბამისი კანდიდატების შერჩევას; მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენასა და ამის საფუძველზე თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას. დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით სკოლა ჩართულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით დამტკიცებულ „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, მასწავლებლის თანხმობით, უზრუნველყოფს მის მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ორმა პედაგოგმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი, სამმა პედაგოგმა - წამყვანის სტატუსი, ორმა მაძიებელმა მასწავლებელმა წარმატებით გაიარა მაძიებლობის პროგრამა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 1 მაძიებელი მასწავლებელი. ბუღალტერმა გაიარა სკოლის მიერ დაფინანსებული, პროფესიული განვითარების ტრენინგები. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში შემუშავებულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა ღონისძიება, რათა ახალ სამუშაო გარემოში სოციალიზაციისათვის: ახალი თანამშრომლის წარდგენა კათედრის წევრებისათვის, კათედრის დებულების გაცნობა და სამოქმედო გეგმების გაცნობა. დირექცია ახლად დასაქმებულ კადრებს ხელს უწყობს, გაეცნოს სკოლის ინფრასტრუქტურას, გაიცნოს და გაიაზროს სასკოლო კულტურა და სკოლის ისტორია. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა ქმნის სივრცეს პერსონალურ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების რეალიზებისთვის. სკოლაში ნებისმიერ დასაქმებულ პირს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენოს კომპიუტერული ლაბორატორია ტრენინგებისა და სხვადასხვა აქტივობები ორგანიზებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია პროფესიული ლიტერატურა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის მიზანია სამუშაო გარემოს შექმნა, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლინოს. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკა;
- პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა. ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. შიდა ხარისხის მართვის სისტემა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მატერიალური რესურსების გაუმჯობესების პროცესებს. სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, ხდება მომდევნო წლის სასწავლო გეგმისთვის მუშაობა; სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის დანერგილია გამჭირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს განსაზღვრავს სასკოლო კურიკულუმი და სკოლის შინაგანაწესი, ასევე ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გასაჩივრების მექანიზმები და სხვ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების განხილვა რეგულირდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული გასაჩივრების პროცედურებით. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი გასაჩივრების პროცედურები და დაინტერესებულ მხარეს სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის საჭირო ნაბიჯების შესახებ. მაგ: რა ფორმით და ვის წარედგინება საჩივარი, რა სავალდებულო ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საჩივარი, ვის ევალება და რა ვადაში უნდა მოხდეს საჩივრის განხილვა და ა.შ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო არამართლზომიერი ქმედებები, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაჩივრების უფლება. აგრეთვე, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფილია წერილობითი თანხმობის მოპოვება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

სკოლაში მოქმედებს პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესით და სკოლასა და პერსონალს, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს კანონიერი უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს.

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად სკოლა იყენებს პედაგოგიურ საბჭოს სხდომასა და მშობელთა კრებებს. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 23/03/2025;
- შინაგანაწესი;
- გასაჩივრების პროცედურები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართვას სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რაც ერთგვარი ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების ფორმაც არის მართვის პროცესებთან დაკავშირებით. სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სკოლის ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. სკოლის საქმიანობა არის გამჭირვალე. საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს საჯარო დოკუმენტების ხელმისაწვდომობას სკოლის ვებგვერდზე ატვირთვითა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, ასევე სხვა სოციალურ ქსელებში განთავსებით (მშობელთა ჩათები, სკოლის ფეისბუქ გვერდი).

მართვის პროცესებთან დაკავშირებით ინფორმირების მიზნით გამოიყენება სკოლის დირექტორსა და მშობელთა კომიტეტის წევრებს შორის შეხვედრები, რომლის ფარგლებში მიღებულ უკუკავშირზე სკოლა რეაგირებს შესაბამისად. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის სტუქტურული ერთეულებში, სკოლის წესდების შესაბამისად, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა. ყოველი წლის დასაწყისში ხდება საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების არჩევა და მათი დამტკიცება; ყოველწლიურად იმართება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, რაც განაპირობებს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში; სამეურვეო საბჭოს არჩევნები იმართება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო წლის

დასაწყისში ხდება დისციპლინარული კომიტეტის წევრების შერჩევა სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მუშაობენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში შექმნილია მშობელთა კომიტეტი. მშობელთა კომიტეტის დებულების თანახმად, კომიტეტის მიზანია სკოლის საქმიანობაში მშობლების ჩართულობის ხელშეწყობა, სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება, სკოლის დირექციისათვის წინადადებების წარდგენა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება №2-44 სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტიცების შესახებ;
- მშობელთა კომიტეტის დებულება;
- მშობელთა კომიტეტის სხდომის ოქმი N2, 07/02/2025.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა სკოლის ორივე შენობისათვის.

- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 19 მაისს გაცემულ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1 -ში მდებარე სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო; ამ ეტაპზე შენობის ექსპლუატაცია შესაძლებელია, მაგრამ მისი შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო გამოყენებისათვის საჭიროა დროულად გაძლიერებითი სამუშაოების ჩატარება, სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, კვლევით ნაწილში მოცემული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.“
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 20 მაისს გაცემულ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაში ვკითხულობთ: „სოფელ პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა N12-ში მდებარე სკოლის შენობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებლია და მათი ექსპლუატაცია შესაძლებელია მიუხედავად სეისმურ ნორმებთან გარკვეული შეუსაბამობებისა, ვინაიდან ჩატარებული გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოებით შენობების სეისმომედეგობა ამაღლებულია; შენობების შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის გასათვალისწინებელია მოცემული რეკომენდაციები“.

ვიზიტის პერიოდში **ვერ იქნა წარმოდგენილი** ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;**
- **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმის წესი (07/03/2025) და საგანგებო სიტუაციების მართვის ბრძანება საგანგებო შტაბი (04/03/2025).

სკოლამ წარმოადგინა განცხადება (07/03/2025) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში, რომელიც შეეხება მომსახურების გაწევას სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებას.

ვიზიტის პერიოდში სკოლის ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე სკოლის შენობის ეზოში დასაწყობებულია სოფელ პატარა ლილოს მისამართზე მდებარე სკოლის სარემონტო სამუშაოების დროს განხორციელებული დემონტაჟის შედეგად მიღებული საშუალებები (მეტალო-პლასტმასისა და ხის მასალები და სხვ.). სკოლამ წარმოადგინა ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მცირეფასიანი საშუალებების ჩამოწერის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება. აგრეთვე, სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას დემონტაჟის შედეგად მიღებული და ბალანსზე აღრიცხული მცირეფასიანი საშუალებების ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები, რითაც დადასტურდა, რომ მიმდინარეობს დასაწყობებული მასალისაგან სკოლის ეზოს გათავისუფლებისათვის საჭირო ღონისძიებები.

სკოლის ეზოს ტერიტორიის ეს ნაწილი გამოიყენება, როგორც გარე სპორტული მოედანი. აქედან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდში არ იყო დაცული სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება, რადგან ეზოში დასაწყობებული დემონტაჟის შედეგად მიღებული საშუალებები საფრთხის შემცველია მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებისათვის. <u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

რჩევა: სასურველია, სკოლაში დასაქმდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

- წარმოდგენილია მიმდინარე წლის 26 ივნისით დათარიღებული მიმართვა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მისამართით შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით მომსახურების გასაწევად.

- წარმოდგენილია მიმდინარე წლის 30 ივნისით დათარიღებული (MES 2 25 0000778774) მიმართვა სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მისამართით სსიპ ქალაქ თბილისის №215 საჯარო სკოლის მიერ მომზადებული საგანგებო მართვის გეგმის შესათანხმებლად. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აქტივობის დასრულების თარიღად სკოლის მიერ განსაზღვრულია 26.08.2025 წ. *<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს საგანგებო</u>*

<u>სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2025 წლის 26 აგვისტომდე.</u>

სკოლის ეზოში დასაწყობებულ, დემონტაჟის შედეგად მიღებული საშუალებებთან/მასალებთან დაკავშირებით, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ „ეზო სრულად განთავისუფლდა, მასალები გადატანილია სარდაფში, ჩაკეტილ სივრცეში. ამასთან, სკოლამ მიმართა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რათა აღმოგვიჩინოს დახმარება და დროულად მოხდეს ნარჩენების გატანა სკოლის ტერიტორიიდან.“ წარმოდგენილ ფოტომასალით დასტურდება, რომ ტერიტორიაზე აღარ არის დასაწყობებული მასალები. ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

დაწესებულების მიერ 2025 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსიის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ შეასრულა დასკვნაში გაცემული რეკომენდაცია „უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება 2025 წლის 26 აგვისტომდე“. წარმოადგენილია 2025 წლის 09 ივლისის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენცია მასზედ, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ. <u>შესაბამისად ინდიკატორი N3.4.1.1 დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქ. N1-ში მდებარე სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტი მოწყობილია პირველ სართულზე. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.

პატარა ლილოში, თამარ მეფის ქ. N12-ში მდებარე სკოლის შენობაში, პირველ სართულზე, სამედიცინო კაბინეტისათვის გამოყოფილი ოთახი, ვიზიტის პერიოში, არ იყო აღჭურვილი და სკოლას არ ჰყავდა სამედიცინო პერსონალი. სკოლის საშტატო განრიგით დამტკიცებულია ექთნის შტატი. სამედიცინო პუნქტის აღჭურვისათვის სკოლას გატარებული აქვს შესაბამისი ღონისძიება - გაგზავნილია კორესპონდენცია 05/03/2025 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სამედიცინო ოთახის აღჭურვის თაობაზე. <u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის უკვე განხორციელებელი აქტივობები: მიმართვა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, ექთნის საშტატო ერთეულის შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და არსებული ვაკანსიის შესავსებად კონკურსის გამოცხადება. ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის მოწყობა და ექთნის დასაქმება სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში 2026 წლის 26 ივნისამდე.*** **<u>ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.</u>**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგს უზრუნველყოფს დირექცია, ადმინისტრატორი (სოფელ პატარა ლილოში მდებარე შენობაში) და მანდატურები (ორივე მისამართზე), მასწავლებლები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. შენობების გარე და შიდა პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეომეთვალყურეობის კამერებით. საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ჰყავს დარაჯი. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნისკენ არის მიმართული დირექციის, პედაგოგების, ადმინისტაციის მუშაობა. კლასის დამრიგებლები ასრულებენ უმთავრეს როლს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების მხარდაჭერაში. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. სსსმ მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი.

სკოლაში ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ. თვითმართველობის ინიციატივით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის. სკოლა თანამშრომლობს მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურთან; ჩატარდა ტრენინგები საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათის. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის მე-8 მუხლში გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური დასუფთავების პროცედურა.

სკოლის ტერიტორიის დასუფთავების მონიტორინგი ხორციელდება კვირის განმავლობაში არანაკლებ 3-ჯერ. მონიტორინგის განმახორციელებლად განისაზღვრება მატერიალური-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი.

სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი, მათგან 2 ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე შენობაში, ხოლო 1 პატარა ლილოში მდებარე შენობაში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში მოქმედებს სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლის „პერსონალურ მონაცემების დაცვის პოლიტიკა“. დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ თანამშრომლებს წვდომა აქვთ მხოლოდ იმ მონაცემებზე და იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი მოვალეობების შესასრულებლად. თანამშრომლის შვებულების ან სხვა მიზეზით მოვალეობის შესრულების შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებელს აქვს წვდომა ასევე იმ პირის წვდომის ფარგლებში, ვის მოვალეობასაც ასრულებს, მოვალეობის შესრულების ბრძანებაში განსაზღვრულ ფარგლებში. გაწერილია სკოლის თითოეული თანამშრომელის ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

სკოლას მიღებული აქვს მშობელთა და დასაქმებულ პირთა წერილობითი თანხმობა/დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლის დერეფნებში განთავსებულია მანიშნებლები ვიდეო კონტროლის შესახებ. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

დაწესებულება იცავს მის ხელთ არსებული პერონალური მონაცემებს, როგორც ფიზიკურის სახით ისე ელექტრონული ფორმით. დირექტორს, დირექტორის მოადგილესა და საქმისმწარმოებელს აქვთ სკოლის ელ-ფოსტისა და სკოლის მართვის ელექტრონულის სისტემის პაროლი სისტემაში მუშაობის განსახორციელებლად. სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია ინახება დაცულ ოთახში.

სკოლის ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის მე-9 მუხლის თანახმად, სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი, სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ, დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებ გვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, 19/05/2025;
- საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, 20/05/2025;
- განცხადება (07/03/2025) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს;
- წარმოადგინა ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივებისა და მცირეფასიანი საშუალებების ჩამოწერის მიზნით; საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის ბრძანება N2-56, 20/03/2025;
- საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები;
- ბრძანება საგანგებო შტაბის დამტკიცების შესახებ, 04/03/2025;
- ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წესის დამტკიცების შესახებ, 07/03/2025;
- კორესპონდენცია 05/03/2025 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დამტკიცების წესი, 19/03/2025;
- პერსონალურ მონაცემების დაცვის პოლიტიკა, 12/07/2024;
- დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი pdps.ge;
- სსიპ ქალაქ თბილისის #215 საჯარო სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის დამტკიცების შესახებ, 19/03/2025;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ექიმის პირადი საქმე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ქალაქ თბილისში, ორ მისამართზე, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის პირობებში.

სკოლის სარგებლობაშია:

- ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 7650.00 კვ.მ.-ის ფართობის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა ნაგებობები N1 და N2. შენობა ორსართულიანია.
- ქალაქ თბილისში, პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა N12-ში მდებარე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 11032.00 კვ.მ.-ის ფართობის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა ნაგებობები N1, N2, N3, N4, N5, N6. პატარა ლილოს კორპუსს 2023-2024 წლებში ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია.

შენობის ეზოში განთავსებულია სატრანსფორმატორო პუნქტი. საკითხის შესახებ სკოლამ მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატს 2022 წელს ელექტროგადამცემი ხაზის

უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული უწყებიდან წერილი (16/11/2022), რითაც ირკვევა, რომ კომისიის აპარატის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტს სკოლის საკითხი კონტროლზე ჰყავს აყვანილი. წერილ თანდართული სახით აქვს „ენერგო პრო ჯორჯიას“ კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მაღალი ძაბვის სადენს კავშირი არ აქვს სტადიონთან ან მის ღობესთან.“ ...პუნქტის შენობა წარმოადგენს კაპიტალურ ნაგებობას და დაცულია გარეშე პირთა შეღწევისაგან.“ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1-ში მდებარე შენობაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურს-ოთახი, სამედიცინო კაბინეტი.

პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა N12-ში მდებარე შენობაში განთავებულია კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი. მიმდინარეობს სამედიცინო კაბინეტის, რესურს-ოთახისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვისათვის საჭირო ღონისძიებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება უზრუნველყოფილია მხოლოდ ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე შენობაში. ბიბლიოთეკა მოწყობილია შენობის მეორე სართულზე. ბიბლოთეკაში მოწყობილია სამკითხველო, განთავსებულია მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი: მხატვრული ლიტერატურა (4774 ერთეული), მასწავლებლის პროფესიული ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები, შემეცნებითი და პერიოდული გამოცემები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკარი მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად ახდენს საბიბლიოთეკო ფონდის კატალოგიზაციას, ზრუნავს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებზე, აწარმოებს წიგნების გატანა-დაბრუნების აღრიცხვას. ბიბლიოთეკარი, თავისი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს ღონისძიებებს მოსწავლეთა წიგნიერების ასამაღლებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1 - ში მდებარე სკოლის შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი; პირველ სართულზე მოწყობილია ერთი ადაპტირებული სველი

წერტილი. თუმცა, **ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო, ეტლით მოსარგებლე პირისათვის სველი წერტილი რეალურად არ არის ხელმისაწვდომი; აგრეთვე, შეუძლებელია შენობის მეორე სართულზე ასვლა, რადგან სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.** შენობის მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

სოფელ პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა N12-ში მდებარე სკოლის შენობა სრულად ადაპტირებულია. შესასვლელში დამონტაჟებული მექანიზმი და ლიფტი უზრუნველყოფს შენობის ხელმისაწვდომობას. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები შენობის ორივე სართულზე ბიჭებისა და გოგონებისათვის. აღსანიშნავია, რომ ადაპტირებული სველი წერტილის კეთილმოწყობისათვის გარკვეული სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს. (შენობის რეაბილიტაციის პროცესი ვიზიტის პერიოდისათვის არ იყო დასრულებული) <u>**ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**</u>

არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში, დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ ხარვეზთან („ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1-ში მდებარე სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო ეტლით მოსარგებლე პირისათვის სველი წერტილი რეალურად არ არის ხელმისაწვდომი; აგრეთვე, შეუძლებელია შენობის მეორე სართულზე ასვლა, რადგან სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.“) დაწესებულებამ წარმოადგინა პოზიცია: *„სკოლის ერთი კორპუსი, მდებარე (სოფელ პატარა ლილოში, თამარ მეფის ქუჩა №12) სრულად არის ადაპტირებული და სკოლას ადაპტირებული გარემოს საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუძლია, შესთავაზოს შესაბამისი კორპუსი. რაც შეეხება ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, რუსთაველის ქ. N1 -ში მდებარე სკოლის შენობას, აქვს შესასვლელში პანდუსი. ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო ინფორმირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ინფორმაციით დაიგეგმება შენობის რეაბილიტაცია და აღნიშნული პრობლემა გამოსწორდება. ვადასტურებთ, რომ სართულებზე ასასვლელ კიბეებს არა აქვს პანდუსი. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს არც ერთი შშმ პირი. იმისთვის, რომ მომავალში არც ერთ მოსწავლეს არ გაუჭირდეს მე-2 სართულზე განთავსებული ლაბორატორიებით სარგებლობა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მეორე სართულიდან ჩამოვიტანეთ პირველ სართულზე, სადაც ნებისმიერი შშმ პირი შეძლებს კომფორთულად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. რაც შეეხება კომპიუტერული ლაბორატორიას, სკოლა აღჭურვილია ლეპტოპებით. მთელი სასწავლო კორპუსი მხარდაჭერილია ინტერნეტით, შესაბამისად, ნებისმიერ კლასში შესაძლებელია ჩატარდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილი.“*

ექსპერტთა ჯგუფმა <u>გაიზიარა</u> დაწესებულების პოზიცია ადაპტირებული სველი წერტილის რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით. (შესაბამისობის გეგმაში აღნიშნულია, რომ „ადაპტირებული სველი წერტილის მცირე ფართობის გამო

ინფორმირებულია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის ინფორმაციით დაიგეგმება შენობის რეაბილიტაცია და აღნიშნული პრობლემა გამოსწორდება.“). ***სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ადაპტირებული სველი წერტილის რეაბილიტაცია (მცირე ფართობის გამო) 2026 წლის 26 ივნისამდე.***

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია კიბის უჯრედების ადაპტირების საჭიროების არარსებობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწავლის ინკლუზიური გარემო შექმნილი უნდა იყოს სკოლის შენობაში ყველა სივრცეში და არა მხოლოდ ცალკეულ ტერიტორიაზე. ამასთან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის განთავსება შენობის პირველ სართულზე მეორე სართულის ნაცვლად, ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას, რადგან ბიბლიოთეკა განთავსებული არის მეორე სართულზე. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება არ შეცვლილა - ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დაწესებულების მიერ 2025 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის კორექტირებული ვერსიის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა დაეთანხმა დასკვნაში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებას „ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში არ არის შექმნილი სწავლის ინკლუზიური გარემო - კერძოდ, შეუძლებელია ეტლით მოსარგებლე პირის მეორე სართულზე გადაადგილება“ და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის კორექტირებული გეგმა. გეგმით განისაზღვრა „შენობის მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირისათვის წვდომის უზრუნველყოფა“ დასრულების თარიღი - 2026 წლის 09 ივლისი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში სწავლის ინკლუზიური გარემო/მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირისათვის წვდომა 2026 წლის 09 ივლისამდე. შესაბამისად შეიცვალა ინდიკატორის შეფასება: ინდიკატორი N3.5.1.4 მეტწილად შესაბამისია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ინფრასტუქტურის მოწყობა ხელს უწყობს სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის შიდა სივრცეები, კეთილმოწყობილი ფოიე, დერეფნები, ბიბლიოთეკა, სპორტული ინფრასტრუქტურა, ეზო ქმნის გარემოს სოციო-კულტურული აქტივობებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 17/11/2023;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 19/06/2018;

- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის მასალები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტიცების შესახებ,19/03/2025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ორივე კორპუსი აღჭურვილია 66 ლეპტოპითა და 23 პერსონალური კომპიუტერით. სკოლა ფლობს 6 ცალ პროექტორს.

სამასწავლებლოები და რესურსოთახი აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც პერსონალური კომპიუტერები ასევე ლეპტოპები. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

მოსწავლეებისათვის და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერები. კომპიუტერულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- ტექნოლოგიების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოების წესში ასახულია დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტის ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრირება, ხელშეკრულებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, შიდა მიმოწერის აღრიცხვა და სხვ. სკოლაში წარმოებს: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა: eflow ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის/eshool-ის ბაზაში სრულყოფილად არის ასახული ინფორმაცია სკოლის შესახებ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულებაში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება დროულია. სკოლა აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რესურსცენტრს, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და სხვა, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი, 21/03/2025;
- სკოლის პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფა, საკომუნიკაციო ჯგუფები სოციალურ ქსელში. სკოლის ოფიციალური ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge გამოიყენება საზოგადოების ინფორმირებისათვის. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მის საქმიანობას, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომლიც პასუხისმგებელია სანდო და უტყუარი ინფორმაციის განთავსებაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში გამოყოფილია მშობელთა ვიზიტის დღე - ყოველი კვირის პარასკევი, მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მოსვლა, მასწავლებელთან შეხვედრა და გასაუბრება. უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება ნაბიჯები საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი გვერდი ვებ გვერდზე skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ვებ გვერდის შესახებ პასუხისმგებელი პირი - საინფორმაციო მენეჯერი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდის შესაბამის გვერდზე სკოლის შესახებ განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამები, შინაგანაწესი, მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიუჯეტი, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმები, გასაჩივრების მექანიზმები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, 19/03/2025;
- სკოლის ვებ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას ვაუჩერულ დაფინანსებასთან ერთად აქვს, ასევე საკუთარი შემოსავლები (იჯარებით). <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. მტკიცდება შესყიდვების გეგმა, რომელიც ითვალიწინებს წინა წლის გამოცდილებას (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს. დაგეგმვა ხორციელდება გამოკითხვის და გასული წლების გამოცდილების გათვალისწინებით. გამოკითხვა ტარდება დირექტორის, კათედრების ხელმძღვანელების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, კლასის ხელმძღვანელების, სპეც მასწავლებლების, ბიბლიოთეკის, ექიმის, თვითმართველობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბუღალტერთან ერთად და განიხილება და მზადდება ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოსთან წარსადგენად. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი, 2025;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;

- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას აქვს დამტკიცებული მოსწავლეთა რეფერირების წესი და მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები. სკოლა უფლებამოსილია დაადგინოს და გაატაროს კანონით გათვალისწინებული რეგულაციები მოსწავლის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული ხასიათის. სკოლაში მოსწავლეებს შეუძლიათ სასკოლო დროს საკოლო ტერიტორიაზე ისარგებლოს ყველა უფლებებით.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტების უზრუნველყოფა ხდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას რასის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიურ, ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებათა გამო. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სასკოლო რეგულაციებს კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ მშობელთა კრებაზე, ხოლო მოსწავლეებს კლასის საათზე. რეგულაციები გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე. საკლასო ოთახებში, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია მოსწავლის ქცევის კოდექსი. ქცევის კოდექსის ჩამოყალიბებაში თავად მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისია. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეფერირების წესი და დირექტორის ბრძანება პასუხიმგებელი პირის შესახებ;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები, 13/09/2024;
- შინაგანაწესი;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- თვითმართველობის დებულება;
- ხელშეკრულებები მშობელთან/კანონიერ მეურვესთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი, რომელიც არის გამჭვირვალე და მკაფიო. დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს შემუშავებულ წესებს. წარმოდგენილია შესაბამისი ბრძანებები და პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობა დასტურდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეებისა და პირობების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ამასთანავე ინფორმაცია ეგზავნებათ მოსწავლეებსა და მშობლებს სოციალური ქსელის შიდა ჯგუფებში. სკოლამ განაცხადა, რომ ყოველი ახალი პროექტის წამოწყების წინ, ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირებულობის მიზნით. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა და მისი პერსონალი პასუხისმგებლობით ეკიდება ინფორმაციის გავრცელებას, რათა უზრუნველყონ მისი სიზუსტე, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. დამტკიცებულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები, 13/09/2024;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;
- ბრძანება ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობის მექანიზმი. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა, მობილობით გადმოსული და ასევე სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი საბავშვო ბაღებთან, რომლის ფარგლებშიც უკვე მეოთხე წელია, ყოველი წლის გაზაფხულზე სკოლის ტერიტორიას სტუმრობენ

სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები, რომლებიც ათვალიერებენ სასწავლო გარემოს და ეცნობიან სასკოლო საზოგადოებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სწავლის დაწყების პირველი დღე იხსნება სასკოლო ღონისძიებით და საზეიმოდ ხდება პირველკლასელთა მიღება. სკოლაში მობილობის წესით ახალი მოსწავლის გადმოსვლისას, უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, კლასის დამრიგებელი ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას ხელი შეუწყოს მოსწავლეს დაამყაროს კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია. იგეგმება კლასგარეშე აქტივობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა ზრუნავს მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის და აწვდის ინფორმაციას მშობელს /კანონიერ წარმომადგენელს სისტემატურად. თუ მოსწავლეს აქვს აკადემიური ჩამორჩენა მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს მშობელს და გაუწიოს კონსულტაციები. სკოლაში შემუშავებულია რემედიაციის წესი. წესი მიზნად ისახავს აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრასა და სასწავლო პროცესში მათი წარმატების ხელშეწყობას. რემედიაციის სისტემა ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომას, დიფერენცირებულ სწავლებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების პრინციპებს, მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში, თვითშეფასების ამაღლებას და პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა რემედიაციის მეთოდების დანერგვის გზით. რემედიაციის ფორმები ითვალისწინებს: მოსწავლეთა ინდივიდუალურ მუშაობას მასწავლებლის ან დამრიგებლის მიერ, ჯგუფური რემედიაცია: მოსწავლეთა მცირე ჯგუფებთან მუშაობა, რომელსაც აქვს მსგავსი აკადემიური სირთულეები, დამატებითი გაკვეთილები საგნობრივი ან კლასგარეშე დამატებითი გაკვეთილები მოსწავლეთა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარმართავს პროცედურებს განცხადების განხილვა, ცნობის დამზადება, მობილობის პროცესი, რეკომენდაციის გაცემა და სხვ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. ინიციატივის განხილვის პროცესში, მოსწავლეთა თვითმართველობა მიმართავს დირექციასა და დამრიგებლებს ჩაერთოს ინიციატივის პროცესში. სკოლის დირექცია გამოხატავს მზაობას მასწავლებლების, მოსწავლეების მხრიდან მომართვის შემთხვევაში დაეხმაროს ინიციატივების განხორციელებაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სკოლა სასწავლო წლის ბოლოს ატარებს ე.წ. კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რემედიაციის წესის დამტიცების შესახებ, 20/03/2025;
- კითხვარი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას კოორდინირებას უწევს დამრიგებელი. დამრიგებელი აწვდის მოსწავლეებს ყველა სიახლეს, ატარებს სადამრიგებლო საათს პროფესიის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ინფორმაციას აწვდის მშობლებს. დირექციის აქტიური მხარდაჭერით ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანთან. ეწყობა ვიზიტები ადგილობრივ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. სკოლა იწვევს პროფესიონალებს, რათა ისაუბრონ თავიანთი პროფესიის შესახებ მოსწავლეებთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საშუალო საფეხურზე ხშირად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებთან. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა სამომავლოდ აპირებს განავითაროს პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობა და ამ პროცესში გაითვალისწინოს მოსწავლეთა უკუკავშირისა და გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;
- მემორანდუმები კოლეჯთან და უნივერსიტეტთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელშიც აღწერილია სკოლაში არსებული, სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშემწყობი მექანიზმები, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებთან. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლისათვის შექმნილია ისგ ჯგუფი. საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიური განათლების შესაბამისი სპეციალისტების მუშაობა მიმართულია მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მიერ შეთავაზებული არ არის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. თუმცა სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების წრე და კვების სერვისი, რაც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და იჯარის ხელშეკრულებით გადაცემულია შესაბამის პირებთან. <u>ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული არ არის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ შეთავაზებული არ არის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 14/09/2023;
- სამეურვეო საბჭო ოქმი N3 24/09/2024.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის** **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია". დოკუმენტი განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია); პროცესში ჩართულ მხარეებსა და საზოგადოების ინფორმირების საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარებას, მუდმივმოქმედი პროცესია.

პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია. ასევე აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ: სკოლის ვებ გვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიასა და საჯარო ღონისძიებებს.

პედაგოგები გასაუბრებისას აანალიზებდნენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა გამოიყენონ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მათ მთელი სასწავლო წლის მანძილზე დაუგროვდათ და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმების შინაარსი ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. დოკუმენტაციის თანახმად, სასწავლო გეგმის დაგეგმვისას სკოლა მნიშვნელოვან ასპექტად იაზრებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესებს, უკუკავშირსა თუ მიგნებებს/რეფლექსიებს.

კათედრების წევრების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვეთის შედეგად ხდება სასკოლო სასწავლო გეგმისა და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვა.

კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც აგრეთვე ეყრდნობა გასული წლების გამოცდილებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმები მრავალფეროვანია და საშუალებას აძლევთ მოარგონ სხვადასხვა ინტერესის მქონე მოსწავლეებს, რაც ზრდის მათ ჩართულობას.

პედაგოგები სხვადასხვა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ახდენენ დავალებათა დაგეგმვასა და მოდიფიცირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ ცვლილებების შეტანა სასწავლო გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებზე და მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო მასწავლებლები, საგნობრივი კათედრები და დირექცია.

კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს.

კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებული სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. მასში განსაზღვრულია დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, თემები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის. შესაბამისად პროცესები ეყრდნობა მასწავლებლის თვითრეფლექსიას, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს.

პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა, პედაგოგები მოტივირებულნი არიან სკოლის დირექციასთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთონ საგნობრივ და ზოგადად სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. აგრეთვე, ამ პროცესში ჩართონ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. კათედრები იყენებს კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას.

საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულებია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის" და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს, როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები, საჯარო ღონისძებები. აგრეთვე, თვალსაჩინოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე/საკლასო ოთახებში განთავსებულია: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის

პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი და სხვა აქტივობების განხორციელების გეგმა.

სასკოლო საზოგადებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს - მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებსა და ისე გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს. ჩატარებული სასკოლო ღონისძიებების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც და აქტიურად იღებენ მონაწილეობას მის ორგანიზებასა და განხორციელებაში. წლის განმავლობაში ჩატარებულ მშობელთა კრებებზე აცნობენ საგნის კურიკულუმს, ასევე ამ მიზნით იყენებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ მშობელთა კრების ოქმები;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან, რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა).
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, სამივე საფეხურზე გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩრთულობა, რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს შეხვედრის დროს. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავებულია შედეგებიც და ცნებებიც. კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა დასტურდება განხორციელებული პროექტებით.
უცხოური ენები	**დაწყებითი:** წარმოდგენილი კურიკულუმები პირველ და მეორე უცხოურ ენებში ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, მათი მოტივაციის ზრდასა და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. კურიკულუმები პირდაპირ უკავშირდება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც საგნებზე ორიენტირებული მიდგომიდან გადაჰყავს სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე. მათი გამოყენება შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს, ეფექტურად დაგეგმონ და განავითარონ საგაკვეთილო პროცესი, ხოლო მოსწავლეებს — აქტიურად და პასუხისმგებლობით ჩაერთონ სწავლის პროცესში. **საბაზო**: წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ უცხოური ენის კათედრის პირველი და მეორე უცხოური ენები (ინგლისური და რუსული) საბაზო საფეხურზე აქტიურად გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს რაც მოსწავლეზე ორიენტირების საშუალებას წარმოადგენს. ასევე, კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება მოსწავლეების განვითარებაზე მიმართულ საკითხებსა და თემებს. **საშუალო**: წარდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კათედრა — პირველი, მეორე და მესამე უცხოური ენების (ინგლისური, ფრანგული და რუსული) მიმართულებებით — საშუალო საფეხურზე

	აქტიურად გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები ინტეგრირებულად ასახავს განსაზღვრულ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეების უნარების განვითარებასა და საგნობრივი თემების გააზრებაზე.
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყველა კლასში დამუშავებულია სამიზნე ცნებები. პროცესი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა წინარე გამოცდილებას და პრაქტიკას. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე და კომპლექსური დავალებების პირობებიდან ჩანს, რომ სკოლა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
სახელმწიფო ენა	სწავლის მიზნები შესაბამისობაშია სტანდარტის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან. თითოეული თემის ფარგლებში დამუშავებულია შედეგებიც და სამიზნე ცნებებიც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თემის ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები და კონტექსტ-მაგალითები, დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას. საბაზო საფეხურზე, მე-7 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, გამორჩენილია სამიზნე ცნებები რამდენიმე თემასთან, რის გამოც მათ მიეცათ **რჩევა**, რომ სრულად იქნას შევსებული სამიზნე ცნებები. ასევე, მე-8 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩასმული კომპლექსური დავალება და საკითხი აცდენილია ერთმანეთს. ამაზეც მიეცათ **რჩევა,** რომ ჩაასწორონ ეს შეუსაბამობა.

მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შესაბამისი რესურსებით; ასევე რიგ შემთხვევაში არის ასახული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს. არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან გასაუბრებით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პედაგოგებს აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მზაობა. დაწყებით საფეხურზე მე-5 კლასის კურიკულუმში ორი თემა მცირედით, შეუსაბამო იყო საკითხთა კლასტერთან, გასაუბრებისას მასწავლებელს მიეცა **რჩევა** და უზუსტობა გასწორებული იქნა. გადმოგზავნილ კურიკულუმში მხოლოდ ერთი კომპლექსური ტიპის დავალებაა შემოთავაზებული, მასწავლებელს მიეცა **რჩევა**, რომ შუალედური მიზნის მისაღწევად, სასურველია მეტი მრავალფეროვნება შეიტანოს კურიკულუმში და ასევე, მითითებულ იქნას მეტი რესურსი.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში არსებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობები და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა. კომპლექსური დავალებები განხილულია, როგორც შუალედური მიზნები.

	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განისაზღვრება საგნობრივ სტანდარტზე დაფუძნებით და მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან თითოეული მათგანი შეიცავს გამოწვევას, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით, არამედ სხვა მიმართულებითაც მიაღწიოს წარმატებას; კურიკულუმის განხორციელების პროცესში, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების გამოკვეთისას, ხდება ცვლილების შეტანა. ყოველი ასეთი ცვლილება ზიარდება კათედრის წევრებს შორის; მოსწავლეზე ორიენტირება, ინდივიდუალური მიდგომა დავალების შერჩევისას და ინტერესების გათვალისწინება/ მოდიფიცირება, საჭიროების შემთხვევაში, ხდება საგაკვეთილო პროცესშიც. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები, მაგ. კიბერბულინგი და მისი პრევენცია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადებაში წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება, ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, ყველა საგანში შესაბამის თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები შემოქმედებითი ბუნების დავალებებით. სავალდებულო თემები წარმოდგენილია ყველა საგანში, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, რომელშიც თემები არასწორადაა შეტანილი, ამის შესახებ კათედრის პედაგოგებს მიეცათ **რჩევა**, რომ კურიკულუმი შეადგინონ საგნის სტანდარტის მიხედვით.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში ეროვნული საწავლო მიზნები შესაბამისობაშია შესასწავლ თემებთან და საკითხებთან. აქტივობები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო მიზნების შესაბამისად. საგნის საათობრივი დატვირთვა შესაბამისობაშია ესგ-ს სტანდართან. თემის/ საკითხის შესასწავლად გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს შედეგის მღწევას.

	საგნობრივი აქტივობები შესაბამისობაშია თემასთან და საკითხთან რაც მოსწავლეს გაუადვილებს საკითხის გააზრებას (ცდა, კვლევა, კომპლექსური, პროექტი)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლების მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმი საშუალებას იძლევა მოსწავლეებში განვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები.
უცხოური ენები	**დაწყებითი**: პირველ და მეორე უცხოურ ენებში წარმოდგენილი კურიკულუმით იკვეთება, რომ საგაკვეთილო პროცესს უზრუნველყოს სისტემური, თანმიმდევრული და შედეგებზე ორიენტირებული სწავლება. კურიკულუმი ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ საგანმანათლებლო პრინციპებს და მიზნებს, მათ შორის — მოსწავლეთა საკომუნიკაციო, კულტურული და კოგნიტური უნარების განვითარებას. **საბაზო**: წარმოდგენილი საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმები (პირველ და მეორე უცხოურ ენებში) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. **საშუალო**: წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმები (როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე უცხოურ ენებში) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სასწავლო პროცესი თემატური ბლოკების ფარგლებში იგეგმება საფეხურის შესაბამის საგნობრივ მოთხოვნებზე დაყრდნობით. ამ პროცესში გათვალისწინებულია, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, ასევე გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემატურობასა და მოსწავლეთა კომპეტენციების განვითარებას. სასურველია თითოეული თემატური ერთეულის დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნეს გრძელვადიანი შედეგები, რაც პროექტული ტიპის დავალებების განხორციელებით მიიღწევა

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ემსახურება ისეთი უნარების დახვეწას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა და სხვ.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (რეპორტაჟი, ესე, ლიტერატურული პორტრეტი, იგავის შექმნა ანდაზის საფუძველზე და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე.
მათემატიკა	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში იკვეთება კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან და სამიზნე ცნებებთან. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალების შინაარსი, მიზნობრივი აქტივობებისა და რესურსის შეთავაზება, კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნის მიზნებს, შედეგებსა და საგნის სამიზნე ცნებებს.

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის (I-IV) კლასების კურიკულუმები მოიცავს ეროვნულ სასწვლო გეგმაში წარმოდგენილ თემებსა და თემატურ ბლოკებს, შემოქმედებითი ბუნების დავალებები (კომპლექსური, პროექტი) შესაბამისბაშია თემებთან და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების დაგემვა ხდება სკოლის ხელთ არსებული მატერიალური რესურსის შესაბამისად. სკოლა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ბიბლიოთეკას, ვირტუალურ ლაბორატორიას, კომპიუტერებს, პროექტორს, ქსეროქსს და სხვა მატერიალურ რესურსებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო რესურსები, რუკები, პოსტერები, ელექტრონული რესურსები.

უცხოური ენები	**დაწყებითი:** კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, არსებით როლს ასრულებს მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, რაც ეხმარება მოსწავლეს ცოდნის დამკვიდრებაში, უნარების განვითარებაში და მოტივაციის შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და მრავალმხრივია. **საბაზო:** უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო მასალები, ხელს უწყობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც შესაბამისობაშია, როგორც მოსწავლეების ასაკთან, ისე ენის ცოდნის დონესთან. ეს ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას, უნარების განვითარებას და სწავლისადმი მოტივაციის შენარჩუნებას. **საშუალო:** უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო მასალები მიზანმიმართულად ეხმარება მოსწავლეებს სასწავლო მიზნების წარმატებით მიღწევაში. წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია და ადაპტირებულია, როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ისე მათი ენის ცოდნის დონის შესაბამისად. ეს ხელს უწყობს მოსწავლეების ცოდნის გამყარებას, უნარების განვითარებასა და სწავლების პროცესში ჩართულობისა და მოტივაციის შენარჩუნებას.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ მრავალფეროვან რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ.
სახელმწიფო ენა	სასკოლო საზოგადოებას საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, მათ შორის საკუთარი ხელით დამზადებული

	რესურსებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენებით. აქვთ პლაკატები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვთილები, ხან აკადემიის რესურსები და math.ge ზე განთავსებული რესურსები,
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონი სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით.
ტექნოლოგიები	იმის გამო რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, მასწავლებლები ძირითადად იყენებენ სამინისტროსთან შთანხმებულ School.emis.ge ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭირებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. მასწავლებლები იყენებენ დამატებით რესურსებს და დამხმარე სახელმძღვანელოებსაც. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ლაბორატორიით მათთვის გაწერილი დღის რეჟიმის მიხედვით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრას საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, როგორც ციფრული რესურსები, ასევე მათივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები: თემატური პოსტერები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა, ციფრები და ა.შ. რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილ დოკუმენტებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; სკოლას ჰყავს სსმ მოსწავლეები რომელთათვისაც აქვთ შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული დავალებებითა სასწავლო რესურსებით.
უცხოური ენები	**დაწყებითი:** სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და წარმატებით ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრაციას და მოტივაციის ამაღლებას. **საბაზო:** უცხოური ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის წინასწარ შემუშავებული

	აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დავალებების მოდიფიცირებული ვარიანტები მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. **საშუალო**: უცხოური ენის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას. ინტერვიუს ფარგლებში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს — არსებულ გეგმებს ანიჭებენ მოქნილობას, ახორციელებენ საჭირო ცვლილებებს და სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის წინასწარ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დავალებების ადაპტირებული ვარიანტები, რომლებიც მორგებულია მათი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამის საჭიროებებზე.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმების ჩარჩოებიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. წარმოდგენილი შუალედური მიზნები კომპლექსური ბუნებისაა, ეს კი მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება თემის ირგვლივ. მასწავლებელს კი აქვს დავალებების მოდიფიცირების და ადაპტირების საშუალება. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ესთეტიკის კათედრა მოსწავლეების საჭიროებებს მუდმივად ითვალისწინებს, აქტივობები და რესურსები განისაზღვრება და ადაპტირდება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.
სახელმწიფო ენა	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თითოეული სსსმ მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები,

	შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლამ იმუშავა და წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შესახებ საინტერესო და საჭირო პრეზენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის.
მათემატიკა	საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებიას გამოიკვეთა, რომ სასწავლო თემების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები; სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; ამის თვალსაჩინოდ ჯერ ისაუბრეს და შემდეგ წარმოადგინეს უკვე შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალების ფოტოსურათები და რესურსები. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული დავალების ნიმუში, აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით
ტექნოლოგიები	საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ და მოსწავლეებთან იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. საგნის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად არ ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ანუ მასწავლებლები თუ ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, რაზეც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამას პრაქტიკულად ახორციელებენ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, გაკვეთილზე აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში გათვალისწინებულია დავალებები სხვადასხვა მზაობის მოსწავლეთათვის, აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა იყენებს სამ კოპონენტიან შეფასებას, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით, დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მე-5 კლასში მეორე სემესტრიდან, მე-6 კლასში კი მთელი წლის განმავლობაში, დანარჩენი კლასები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საუბრისას აღინიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებენ რუბრიკების შექმნასა და დახვეწას. როგორც აღნიშნეს ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს განმავითარებელი შეფასების მიცემისას ძირითადად იყენებენ ზეპირ ფორმას, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ წარმოადგინა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა კარგი იქნება შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისას მოხდეს კონკრეტულ მიზანზე ორიენტირება და კრიტერიუმების შემუშავებისას ხაზი გაესვას შეფასების რუბრიკებს. კარგი იქნება თუ კათედრაზე მოხდება შეფასების სისტემის განხილვა.
უცხოური ენები	**დაწყებითი:** სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვერლი კომპონენტების სახით. გასაუბრების დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების დახვეწაზე. სასურველია, დაწყებით საფეხურზე მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამისობაში მოვიდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი, ორიენტირე-ბული იყოს სამიზნე ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე. **საბაზო:** საბაზო საფეხური უცხოური ენის კათედრას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, სასურველია, საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კონკრეტულად კი, სკოლის მიერ გამოყენებული, როგორც

	განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნებოდეს ძირითადი ცნებებისა და გრძელვადიანი მიზნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის უფრო მიზნობრივ და შედეგზე ორიენტირებულ წარმართვას. **საშუალო:** საშუალო საფეხურზე უცხოური ენების კათედრას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მიზანშეწონილია, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამებოდეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უნდა ეფუძნებოდეს კურიკულუმში განსაზღვრულ ძირითად ცნებებსა და გრძელვადიან მიზნებს. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უფრო მიზნობრივ, სტრუქტურულ და შედეგზე ორიენტირებულ მართვას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ საფეხურების შესაბამისად წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, შექმნან დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს
სახელმწიფო ენა	ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა ითვალისწინებს, როგორც განმავითარებელ შეფასებას, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშები იძლევა სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინების საშუალებას. შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, ემსახურება ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები.
მათემატიკა	თავდაპირველად პედაგოგებმა წარმოადგინეს პროექტის შეფასების, პრეზენტაციის, საშინაო დავალებს, საკლასო მუშაობის შეფასების ზოგადი სქემები. ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ, შემაჯამებელი დავალების ანალიზები, დიაგნოსტიკური ტესტების შეფასების ანალიზები. ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს მათ შორის შესასვლელ

	და გასასვლელ ბარათებს, დაკვირვების ცხრილს. მიეცათ რჩევა, რომ შეფასების რუბრიკები უფრო კონკრეტული უნდა ყოფილიყო, დოკუმენტის **არსებობის შემთხვევაში,** წარმოედგინათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და საფეხურების მიხედვით თითოეული თემისთვის შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგინა. შეფასების ყველა დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	სკოლას წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდა ზოგადი სახის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაზეც მიეცათ შენიშვნა და ვიზიტის მეორე დღისთვის გამოგზავნეს ჩასწორებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებს მიეცათ **რჩევა** შექმნან და გამოიყენონ ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაზეც მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ შექმნიან გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით სფეხურზე ყველა საგანში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე

	სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ისგ ოქმები;
- ✓ ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- ✓ ინკლუზიური განათლების პრეზენტაცია;
- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი N1.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ვოდეო და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და ანალიზი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა
უცხოური ენები	**დაწყებითი:** სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. დაგეგმვისას დეტალურად არის გათვალისწინებული კურიკულუმში განსაზღვრული მიზნები, სასწავლო თემები და საკითხები, რაც უზრუნველყოფს სწავლების სისტემურობას და თანმიმდევრობას. **საბაზო:** სასწავლო პროცესი უცხოურ ენაში შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. დაგეგმვის ეტაპზე გულდასმით არის გათვალისწინებული კურიკულუმში ჩამოყალიბებული მიზნები, თემატიკა და ძირითადი საკითხები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობას და მიზნობრივობას. **საშუალო:** სასწავლო პროცესი უცხოურ ენაში შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მიზნებსა და მოთხოვნებს. დაგეგმვის ეტაპზე ყურადღებითაა გათვალისწინებული კურიკულუმში

	განსაზღვრული მიზნები, თემატიკა და ძირითადი საკითხები, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ, სისტემურ და მიზანმიმართულ წარმართვას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რათა მოხდეს მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. კათედრამ წარმოადგინა სხვადსხვა პროექტები რეფლექსიებით და მოსწავლეთა ნამუშევრებით, ასევე მათ მიერ შექმნილი სხვადსხვა შემოქმედებითი პროდუქტები, საკლუბო და საწრეო მუშაობით. აღნიშნულიდან ჩანს, რომ სკოლა და ესთეტიკის კათედრა კურიკულუმის შესაბამისად ახორციელებს სასწავლო და საგაკვეთილო პროცესს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელებისას ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები და განახორციელონ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები (იდეის დონეზე), პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგების გათვალისწინებით კათედრა კურიკულუმის შესაბამისად წარმართავს საგაკვეთილო პროცესებს, სხვადასხვა სახის აქტივობას, კონკურსებს, საკლუბო მუშაობას.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. საკითხთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები განვრცობილია კომპლექსური დავალების თავებში. მასწავლებლებს აქვთ უნარი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი

	საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები (მაგალითად: ხის სიმაღლის გაზომვა, სამუხრუჭე მანზილის გაზომვა, ოპტიმიზაციის ამოცანა ფართობებზე, პიცის ამოცანა) ასეთ თემებზე მუშაობა, მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. კომპლექსური დავალების პირობები, იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების დონეს. კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო საკითხები და კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას და ემოციურ რეგულაციას. მათ შესაძლებლობა მიეცემათ, სხვადასხვა დავალების შესრულების გზით, გამოხატონ თავიანთი ემოციები და დამოკიდებულებები კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებულ სასწავლო საკითხებზე.
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები, მათი ნამუშევრები, მასწავლებლის რეფლექსია განხორციელებულ პროექტზე, ინტეგრირებული პროექტების მასალები. სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდან ჩანს რომ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში და პროექტში,

	რაც ადასტურებს იმას რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დირექციასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმი არის მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლის მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განვითარებას. საგნის მასწავლებლები ახორციელებენ სწავლების პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაცვით. კურიკულუმის დანერგვის პროცესში შესაძლოა წარმოიქმნას სხვადასხვა საჭიროება და აუცილებელი უნდა გახდეს საგნობრივ კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, რომელსაც ახორციელებენ საგნის მასწავლებლები კათედრასა და დირექციასთან შეთანხმებით.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები, შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით ისეთი ტიპის შეფასების რუბრიკებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლის ფუნქციურ კომპონენტური უნარების შეფასება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყო ზოგადი ხასიათის, შეფასების სისტემის ვალიდურობის უზრუნველსაყოფად, კარგი იქნებოდა რუბრიკებში ნათლად ყოფილიყო აღწერილი სწავლა-სწავლების რომელ შედეგს მიემართება შეფასება.
უცხოური ენები	**დაწყებითი, საბაზო და საშუალო:** სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. რაც შეეხება ვალიდურობას, **სასურველია,** სკოლამ განავითაროს და გააუმჯობესოს შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში, რათა ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების პროცესის მიზნობრიობასა და სისწორეს.
ესთეტიკური აღზრდა	ყველა საფეხურზე მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც ინტერვიერების დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა.
სახელმწიფო ენა	ახალი სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს სასწავლო პროცესზე მორგებული ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი შეფასების სისტემის შექმნასა და გამოყენებას, რაც მოემსახურება მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შემდგომი პროცესების დაგეგმვას. ამაზე მეტყველებს სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. როგორც ინერვიუებიდან გამოიკვეთა, სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული შეფასების სისტემის მექანიზმის შემუშავებაში.

მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ამას მოწმობს წარმოდგენილი განსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, კონკრეტულ თემებზე გაწერილი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით.
ტექნოლოგიები	სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. თავიდან სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იყო კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრძლვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა წარმოდგენილი იყო ზოგადი სახის განმსაზღვრელი, განმავითარებლი და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები, მასწავლებლებს მიეცათ შენიშვნა, რის შემდეგაც მეორე დღეს გადმოგზავნეს შეფასების ჩასწორებული რუბრიკები და ასევე მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ უკეთ გაეცნობიან შეიმუშავებენ გრძელვადიან მიზნებზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს და გამოიყენებენ სასწვლო პროცესში მოსწავლეთა შეფასებებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობს შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას,

	რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. მოსწავლემ ზუსტად იცის, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისი ცოდნის შესაფასებლად, მოცემულ რუბრიკებზე დაყრდნობით მოსწავლეებს გარკვეულწილად შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სწავლის შედეგი და მიმართება გრძელვადიან სასწავლო მიზანთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, შეფასების რუბრიკებში ასახულია რა ცოდნას და უნარებს მიემართება შეფასება, მოსწავლეებმა იციან კონკრეტულად რა და როგორ ფასდება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შეფასება გამჭვირვალეა, ობიექტური და სამართლიანი,

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმეტი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, პასუხისმგებელი პირი/პირები. დოკუმენტში ასახულია ვერიფიკაციის შემდეგი ამოცანები: მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; მოსწავლის მიღწევის ანალიზი; ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია, ხოლო მოსწავლის შეფასება კი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებების შედეგებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა წარმართოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული: პირადი საქმეები და ა.შ. ინახება სკოლის კანცელარიაში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. სკოლა იცავს დოკუმენტის

წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მონაცემები და მტკიცებულებები სკოლაში კანონის შესაბამისი ვადებით ინახება, ასევე: კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები და შეფასების რუბრიკები.

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეთა შედეგები შეინახოს წლების განმავლობაში.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ✓ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის ვოდეო და ფოტო მასალებით, სადაც ასახულია კომპექსური დავალების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, **კურიკულუმებში ნაკლებადაა**

	დაგეგმილი კვლევითი ხასიათის აქტივობები, რაც გამოწვეულია ლაბორატორიის აღჭურვილობის არ ქონით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
უცხოური ენები	**დაწყებითი**: კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად არის გამოყენებული სასწავლო პროცესში (ეს დგინდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმნეტაციის, ასევე გასაუბრების შედეგად). მათი გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შესრულებას და უწყობს ხელს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. რესურსების მრავალფეროვნება (მაგალითად, სასწავლო სახელმძღვანელოები, ონლაინ მასალები, ვორქშითები და ვიზუალური მასალა) ხელს უწყობს სწავლების დინამიკურობას და მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებებზე მორგებას. **საბაზო:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრების შედეგებით. რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. რესურსების მრავალფეროვნება — მათ შორის სასწავლო სახელმძღვანელოები, ონლაინ მასალები და ვიზუალური მასალები — ქმნის დინამიკურ სასწავლო გარემოს და ეხმარება სწავლების ადაპტირებას მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე. **საშუალო:** სასწავლო პროცესში სისტემატურად და აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დადასტურებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებების შედეგებით. ასეთი რესურსების ეფექტურ გამოყენებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სასწავლო მიზნების მიღწევაში და ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების სისტემატურ განვითარებას. რესურსების მრავალფეროვნება — მათ შორის თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოები, ინტერნეტ პლატფორმები, ვიზუალური და აუდიო მასალები — ქმნის ინტერაქციულ და მოტივირებელ სასწავლო გარემოს. ეს გარემო უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობასა და ადაპტირებას

	მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან, რაც ზრდის სწავლის ეფექტურობას და ჩართულობას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა), რაც მოსწავლეთა შედეგებზე და მათ ნამუშევრებზე აისახება.
სახელმწიფო ენა	ძირითადი რესურსების გარდა სასწავლო მიზნების მისაღწევად, მოსწავლეთა დასაინტერესებლად და მათი სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩასაბმელად სკოლა ეფექტურად იყენებს სწავლების პროცესში, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. მასწავლებლები დაინტერესებული არიან მედიაწიგნიერებით და ცდილობენ მის საკუთარ პრაქტიკაში გამოყენებას.
მათემატიკა	ზოგიერთი კლასის საგნობრივი კურიკულუმებში მხოლოდ კომპლექსური დავალების გასვრივ არის მითითებული ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლიც გამოყენებასაც გეგმავს მასწავლებელი. თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მიეცათ რჩევა, რომ სასურველია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა კლასის კურიკულუმში მოხდეს ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამატება.
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლა იყენებს სამინისტროსტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელბიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში, წარმოდგენილი აქვს შესაბამისი განხორციელებული პროექტები.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნვალყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დამხმარე სასწავლო რესურსი რომელსაც სკოლა იყენებს კურიკულუმით** დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს. ან რაიმე ნიშნით არ იწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლას
საზოგადოებრივი მეცნიერებები	რესეურსები შერჩეულია შესასწავლი თემისა და მიზნის შესაბამისად, რასაც ადასტურებს რესურსების ვალიდაციის ბრძანება.
უცხოური ენები	**დაწყებითი, საბაზო, საშუალო**: უცხოური ენის კათედრის ოქმით დგინდება, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხდება სპეციალური ბრძანებით.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე არსებული დამხმარე რესურსები სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან.
მათემატიკა	კათედრის მიერ შემოთავაზებული დამხმარე რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი სასწავლო კურიკულუმები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსები სრულდ შეესაბამება ეროვნული სასწვლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და შესასწავლ თემებს.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**სკოლას ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში არ აქვს განახლებული ლაბორატორიის აღჭურვილობა, ლაბორატორიაში არსებული რესურსი მოძველებულია ან მწყობრიდანაა გამოსული. ლაბორატორიას არ აქვს სადემოსტაციო ცეცხლგამძლე მაგიდა, ასევე არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა.** **სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში, სადაც განთავსებულია დაწყებითი და საბაზო საფეხური, გამოყოფილია ლაბორატორიისათვის საჭირო ოთახი, მაგრამ არ აქვს ლაბორატორიის აღჭურვილობა, რაც ხელს უშლის ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით <u>საბაზო და საშუალო საფეხურებზე.</u>** საწავლო პროცესის წარმართვისას იყენებს მათ ხელთ არსებულ რესურსებს როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვირტუალური ლაბორატორია, კომპიუტერები, პროექტორი, ქსეროქსი, და სხვ. <u>ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.</u> **დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სკოლის მიერ უკვე განხორციელებული აქტივობა: მიმდინარე წლის 04 მარტს სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვის თხოვნით. სააგნეტოს მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის გაგზავნილ საპასუხო კორესპონდენციაში (4 25 0000238009) აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს სკოლის თხოვნა. აღნიშნულია, რომ სააგენტოს მიერ შესყიდვების პროცედურების დაგეგმვა განხორციელდება საქართველოს განათლების,**

	მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განახლებული მახასიათებლების მოწოდების შემდეგ. **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლამ დაიწყო ბაზრის კვლევა გამწოვი კარადისა და ცეცხლგამძლე მაგიდის შესაძენად. აგრეთვე, სკოლის მასწავლებლებმა გაიმარჯვეს STEM კონკურსში და სკოლას სექტემბრამდე გადმოეცემა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ვარკეთილის მეურნეობაში, რუსთაველის ქუჩა N1-ში მდებარე კორპუსში, უზურუნველყოს ლაბორატორიის აღჭურვილობის განახლება, სადემოსტაციო ცეცხლგამძლე მაგიდის განთავსება და გამწოვი კარადის მონტაჟი, ხოლო სოფელ პატარა ლილოში მდებარე კორპუსში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის 26 ივნისამდე. *ინდიკატორი შეფასდა მეტწილად შესაბამისად.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით და დამატებითი მრავალფეროვანი რესურსით.
უცხოური ენები	**დაწყებითი, საბაზო, საშუალო**: სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესის სრულყოფილი და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და საგნებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მდებარეობა ორ ლოკაციაზე და სასწავლო პროცესის სრულყოფილი მიმდინარეობისთვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს სწავლის საუკეთესო შედეგის მიღწევას.
მათემატიკა	ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძრვანელოებს, math.ge ზე და kargi.skola.ge განთავსებულ ელექტრონულ რესურსებს

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას.
ტექნოლოგიები	სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტიპის კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიით, რომელშიც განთავსებულია კლასებში არსებული მოსწავლეების რაოდენობების შესაბამისად და ყველა მოსწავლეს შეუძლია მათზე მუშაობა, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც, სკოლის მიერ შედგენილი განრიგის მიხედვით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ სასკოლო კომპიუტერულ ლაბორატორიაში შეასრულონ საშინაო დავალებები საჭიროების შემთხვევაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით დამხმარე ლიტერატურას და ციფრულ და მატერიალურ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 49 პედაგოგი, მათ შორის: 35 - უფროსი, 7 - წამყვანი, 1 - მაძიებელი, 2 - მოწვეული, 1 - სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოებისა და 3 - სპეციალური მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები
- ✓ *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
- ✓ *გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები 1-6 კლასი*
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების *კათედრის სამოქმედო გეგმა*

- ✓ *მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტი - ფაილი „ფოტო“* საბ. მეც. *კათედრის*
- ✓ *სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსები*
- ✓ *საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმები*
- ✓ *შეფასების რუბრიკები*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტები;*
- ✓ *საათების გადანაწილება საგნების მიხედვით, საბ.კათედრა*
- ✓ *დანართი 8. ინკლუზიური განათლება*
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ✓ კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც ემყარება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. სკოლას აქვს განსაზღვრული მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. ჯგუფში შედიან კათედრის ხელმძღვანელები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. კათედრაზე საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს უწევენ ერთმანეთს მონიტორინგსა და აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას. მათი ფუნქციები უმეტესწილად მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული მეთოთოლოგიის დანერგვის კუთხით. მოსწავლეთა შედეგებს ერთობლივად განიხილავენ საგნის მასწავლებლები და ხდება გასაუმჯობესებელი მიმართულებების დადგენა. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კურიკულუმების შეფასება ხდება საგნობრივ კათედრებზე ჩატარებული კომპლექსური დავალების ანალიზის ხარჯზე, რაც ასახულია საგნობრივი კათედრების ოქმებში.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი: კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება; შეფასების რუბრიკების საფუძველზე - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და დირექტორის მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის

ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის, სადამრიგებლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შესახებ ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეების ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში, კონფერენციებში, ოლიმპიადებში, სპორტულ აქტივობებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრგიგებლებთან. ამის დასტურია სადამრიგებლო პროგრამა.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს, აგრეთვე გეგმავს უზრუნველყოს განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საკოლო-სასწავლო გეგმა;
- ✓ საგნობრივი კათედრის ოქმები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მასწავლებლებთან გასაუბრებისა და სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ხდება საგნობრივი პროგრამების, თემატური მატრიცების, მოსწავლეთა ნამუშევრების, მასწავლებლის პორტფოლიოს ანალიზი და სხვა. პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, მშობლები, მოსწავლეები. სკოლას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერა. ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება წარიმართება სხვადასხვა მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მათი საჭიროებების გამოვლენით, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. პროცესის აღწერა ზოგადია, თუმცა ჩანს, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა. სკოლაში არსებობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი, სადც ხდება იდეებისა და ინიციატივების წახალისება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასებისას გამოიყენენა მოსწავლეთა უკუკავშირი, რეფლექსიები და ხედვა. აგრეთვე, რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეებმა. შესაბამისად, ამ კომპონენტშიც სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი

ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავავზება.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომელიც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვებასა და ამ დაკვირვების შედეგების სპეციალურ ცხრილში ასახვას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. განხირციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურების პროცესში სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებელბი და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძვნება მუდმივ შესწავლასა და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებას. მასწავლებლები ურთიერთდასწრებისა და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში: თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებების შესაბამისობა და სხვა. ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება გამოვლენილი ხარვეზები, საჭიროებები და გათვალისწინებული იქნება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზები.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ კათედრის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი

05 აგვისტო, 2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ცირა ნიკოლაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელიზბარ ბარბაქაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

რომანი გაბუნია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო გავაშელი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი